შპს. „ჯიემინვესტი“

საინდიფიკაციო ნომერი: 404475778

საქართველო, ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №2, ტელ: (995 32) 269 93

ელ.ფოსტა: gminvest@gmail.com

საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ბუხაიძის ქ.#36 სართული2

ტელ:591 70 77 77

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. N7-ში (ს.კ 01.12.12.001.155) მდებარე ობიექტში განთავსდა სავარჯიშო დარბაზი. სივრცე აღჭურვილია ყველა საჭირო სპორტული ინვენტარით, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. დარბაზის შიდა ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, სრული დატვირთვით განხორციელდეს მსურველთა მიღება, თუმცა იმ მიზნით, რომ საზოგადოებისთვის უფრო მოსახერხებელი გახდეს ობიექტით სარგებლობა, საჭიროა კეთილმოეწყოს დარბაზამდე მისასვლელი გარე სივრცე.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ აღნიშნული ტერიტორიის გარე სივრცის კეთიოლმოწყობის საკითხი, გამწვანება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განთავსება, რათა უფრო მეტად იქნეს წახალისებული ტერიტორიის მაცხოვრებელთა დაინტერესება, ჯანსაღი ცხოვრების წახალისება და ამისთვის შესაფერისი მიმზიდველი გარემოს შექმნა.

პატივისცემით,

შპს. „ჯიემინვესტი“ /გიორგი მჭედლიშვილი/

05.05.2025